

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევების ცენტრი
Centre for Eastern Christian Studies

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities



საერთაშორისო სიმპოზიუმი

ბიბლია სიტყვებსა და სახეებში

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ე ბ ი

International Symposium

The Bible in Words and Images

A b s t r a c t s

თბილისი 2022 Tbilisi

მაისი 27-29 May

სიმპოზიუმი ტარდება რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
მხარდაჭერით (MG-ISE-19-188)

Symposium is supported by Shota Rustaveli National Science Foundation
of Georgia (MG-ISE-19-188)

საორგანიზაციო კომიტეტი:

ანა ხარანაული
ზაზა სხირტლაძე
ნათია დუნდუა
ნათია მიროტაძე
ლალი ვაშაკმაძე
თინათინ ჯიქურაშვილი
თამარ მაგრაქველიძე
ნინო გიორგაძე
ქეთევან გონგაძე

The Organizing Committee:

Anna Kharanauli
Zaza Skhirtladze
Natia Dundua
Natia Mirotadze
Lali Vashakmadze
Tinatin Jikurashvili
Tamar Magrakvelidze
Nino Giorgadze
Ketevan Gongadze

სამუშაო ენები: ქართული, ინგლისური

Working Languages: Georgian, English

გაყვანზე: დავით მეფსაღმუნე, ფხესკა, ბეთანია
Cover Image: King David, Betania Murals

გაყვანის დიზაინი: ბესიკ ხაჩანაული (უმცხოსი)
Cover Design: Besik Kharanauli (Jr.)

პროგრამა

პარასკევი, 27 მაისი

თსუ 1, სააქტო დარბაზის ფოიე

11:00–13:00

გახსნითი სესია, მისალმებები

ლიკა ტოვი, ბიბლიური სახეები ბიბლიის თანამედროვე
ილუსტრატორის თვალით, გამოფენა

13:00-14:30 შესვენება

თსუ 1, აუდიტორია 107

14:30-16:30

ერთობლივი სესია 1

თავმჯდომარე **ზაზა სხირტლაძე**

ნინო დობორჯგინიძე, ბიბლიის თარგმანი და
ვერნაკულარული ენის ემანსიპაციის პროცესი
(ქართულის მაგალითზე)

რობერტ ს. ნელსონი, მეთერთმეტე საუკუნის
სადღესასწაულო ლექციონარები

16:30-16:45 შესვენება

16:45-18:15

სესიები

თსუ 1, აუდიტორია 115

სესია 1

ბიბლია სიტყვებში

თავმჯდომარე **ანა ხარანაული**

16:45-17:30

ემანუელ ტოვი, სეპტუაგინტას მთარგმნელთა მეთოდები
საკუთარი სახელების გადმოცემისას

17:30-18:15

ფელიქს ალბრეხტი, თარგმანის ტექნიკა ამბაკუმის წიგნში:
ამბაკუმის ლოცვა (ამბ. 3)

თსუ 1, აუდიტორია 107

სესია 2

ბიბლია სახეებში

თავმჯდომარე ერიკ თუნო

16:45-17:30

ბარბარა შელევალი, ტექსტი და გამოსახულება –
ქართული კედლის მხატვრობის ტრანსლაციის სტრატეგიები

17:30-18:15

ნინო ჭიჭინაძე, წინასწარმეტყველთა გამოსახულებები
ფერწერულ ხატებზე საქართველოდან

20:00

ვახშამი კონფერენციის მონაწილეთათვის

შაბათი, 28 მაისი

თსუ 1, აუდიტორია 107

10:00-11:00

ერთობლივი სესია 2

თავმჯდომარე მარიამ დიდებულიძე

ზაზა სხირტლაძე – ირაკლი თეზელაშვილის, თამარ
მაგრაქველიძის, სალომე მელაძისა და ელისაბედ
უგულავას მონაწილეობით, წინასწარუწყება სახითა და
სიტყვით: ძველი აღთქმის ციტატები შუა საუკუნეების
ქართულ კედლის მხატვრობაში

11:00-11:30 შესვენება

11:30-13:00

სესიები

თსუ 1, აუდიტორია 115

სესია 3

ბიბლია სიტყვებში

თავმჯდომარე ფელიქს ალბრეხტი

11:30-12:15

ალისონ სალვესენი, როგორ იწრთობა სირიული, როგორც ქრისტიანული ენა

12:15-13:00

ფრანკ ფედერი, სეპტუაგინტას კოპტური თარგმანი: მრავალდიალექტური საწყისებიდან სტანდარტულ ბიბლიამდე და საბოლოოდ – არაბულ თარგმანამდე

თსუ 1, აუდიტორია 107

სესია 4

ბიბლია სახეებში

თავმჯდომარე ბარბარა შელევალდი

11:30-12:15

მარიამ დიდებულისძე, ძველი აღთქმისეული თემები ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის მოხატულობაში

12:15-13:00

ეკატერინე გედევანიშვილი, ბიბლიური მოდელების ასახვა წმინდა გიორგის იკონოგრაფიაში (ურთხვის კანკელისა (XI ს.) და ცაცხვათის რელიეფის (X-XI სს.) მაგალითებზე)

13:00-14:00 შესვენება

თსუ 1, აუდიტორია 107

14:00-15:30

ერთობლივი სესია 3

თავმჯდომარე ნათია მიროტაძე

**ანა ხარანაული, თამარ მაგრაქველიძე,
თინათინ ჭიქურაშვილი, ლიკა აბრალავა,
ნათია მიროტაძე, ლალი ვაშაყმაძე, ნინო გიორგაძე,
ბიბლიის ფაუნა (დოკუმენტირებული ლექსიკონი ბიბლიის
ძველი ქართული თარგმანების მიხედვით)
ისკრა ჰრისტოვა-შომოვა, მითოლოგიური არსებები იობის
წიგნში და მათი ინტერპრეტაცია სეპტუაგინტასა და სლავურ
თარგმანებში**

15:30-15:45 შესვენება

15:45-18:00

სესიები

თსუ 1, აუდიტორია 115

სესია 5

ბიბლია სიტყვებში

თავმჯდომარე ფრანკ ფედერი

15:45-16:30

**ანა ხარანაული, თარგმანის ტექნიკა – ბიძგი ქართული ენის
განვითარებისათვის (ძველი აღთქმის უძველესი ქართული
თარგმანების ლექსიკის მიხედვით)**

16:30-17:15

**ნათია მიროტაძე, ქართული სალიტერატურო ენა და
თარგმანის ტექნიკა ესთერის წიგნის ძველი ქართული
ვერსიების შუქზე**

17:15-18:00

**ანდრეს პიკე ოტერო, სეპტუაგინტას თარგმანები: ძველი
ბერძნული და ახალი ეგზეგეტიკა**

თსუ 1, აუდიტორია 107

სესია 6

ბიბლია სახეებში

თავმჯდომარე ეკატერინე გედევანიშვილი

15:45-16:30

ერიკ თუნო, სვეტი და ხე. შემოქმედებითი ბრიკოლაჟი შუა საუკუნეების საქართველოში

16:30-17:15

ნინო ჩიხლაძე, ბიბლიური არქეტიპები სვეტიცხოვლის კათედრალის მოხატულობაში

17:15-18:00

გეორგი პარპულოვი, თეოფილაქტეს სახარების კომენტარი: ხელნაწერი ტრადიციის დასაწყისი

კვირა, 29 მაისი

9:00-21:00

გასვლითი სესია

**სამთავისი-ატენი-უფლისციხე-გრაკლიანი
ვახშამი**

Program

Friday, May 27

TSU 1, Floor 2, Assembly Hall Foyer

11:00–13:00

Opening Session, Greetings

Lika Tov, Bible Images, Annotations by a Modern Bible Illustrator,
Exhibition

13:00–14:30 Lunch Break

TSU 1, Auditorium 107

14:30–16:30

Joint Session 1

Presiding **Zaza Skhirtladze**

Nino Doborjginidze, Bible Translation and Emancipation of
Vernacular Languages: The Georgian Case
Robert S. Nelson, Festival Lectionaries of the Eleventh Century

16:30–16:45 Break

16:45–18:15

Sessions

TSU 1, Auditorium 115

Session 1

The Bible in Words

Presiding **Anna Kharanauli**

16:45–17:30

Emanuel Tov, The LXX Translators' Procedures in Representing
Proper Names

17:30–18:15

Felix Albrecht, Translation Technique in the Book of Habakkuk:
The Prayer of Habakkuk (Hab 3)

TSU 1, Auditorium 107

Session 2

The Bible in Images

Presiding **Erik Thunø**

16:45-17:30

Barbara Schellewald, Text and Image – Strategies of Translation
in Georgian Mural Painting

17:30-18:15

Nino Chichinadze, Viewing Prophets: Images of Prophets on
Painted Icons from Georgia

20:00

Dinner for participants

Saturday, May 28

TSU 1, Auditorium 107

10:00–11:00

Joint Session 2

Presiding **Mariam Didebulidze**

Zaza Skhirtladze in collaboration with **Irakli Tezelashvili, Tamar
Magvakvelidze, Salome Meladze, Elisabeth Ugulava**, Prophesying
in Images and Words: Old Testament Quotations in Medieval
Georgian Wall Painting

11:00-11:30 Break

11:30-13:00

Sessions

TSU 1, Auditorium 115

Session 3

The Bible in Words

Presiding **Felix Albrecht**

11:30-12:15

Alison Salvesen, The Forging of Syriac as a Christian Language

12:15-13:00

Frank Feder, The Translation of the Septuagint into Coptic – from
Multidialectal Beginnings to a Standard Bible and a Final
Transmission into Arabic

TSU 1, Auditorium 107

Session 4

The Bible in Images

Presiding **Barbara Schellewald**

11:30-12:15

Mariam Didebulidze, Biblical Themes in the Wall Paintings of
St. Nicholas Church at Kintsvissi

12:15-13:00

Ekaterine Gedevanishvili, The Reflections of Biblical Models on
St. George's Iconography in Georgian Art (On the examples of the
Urtkhva Altar Screen (11th c.) and the Tsatskhvati Relief
(10th-11th cc.)

13:00-14:00 Lunch Break

TSU 1, Auditorium 107

14:00-15:30

Joint Session 3

Presiding **Natia Mirotadze**

**Anna Kharanauli, Tamar Magrakvelidze, Tinatin Jikurashvili,
Lika Abralava, Natia Mirotadze, Lali Vashakmadze,
Nino Giorgadze, Biblical Fauna**
(Documented Dictionary according to the Old Georgian Bible)

**Iskra Hristova-Shomova, Mythological Creatures in the Book of
Job and their Interpretation in the Septuagint and in the Slavonic
Translations**

15:30-15:45 Break

15:45-18:00

Sessions

TSU 1, Auditorium 115

Session 5

The Bible in Words

Presiding **Frank Feder**

15:45-16:30

**Anna Kharanauli, Translation Technique – an Impetus for the
Development of the Georgian Language (On the Example of the
Oldest Georgian Translations of the Old Testament)**

16:30-17:15

**Natia Mirotaze, Georgian Literary Language and Translation
Technique on the Light of the Old Georgian Versions of the Book
of Esther**

17:15-18:00

**Andrés Piquer Otero, Daughter Versions of the Septuagint: Old
Greek and New Exegesis**

TSU 1, Auditorium 107

Session 6

The Bible in Images

Presiding **Ekaterine Gedevanishvili**

15:45-16:30

Erik Thunø, Pillar and Tree. Creative Bricolage in Medieval Georgia

16:30-17:15

Nino Chikhladze, Biblical Archetypes in the Wall Painting of Svetitskhoveli Cathedral

17:15-18:00

Georgi Parpulov, Theophylact's Gospels Commentary: The Start of the Manuscript Tradition

Sunday, May 29

9:00-21:00

Closing Session

**Samtavisi-Ateni-Uplistsikhe-Grakliani
Dinner**

აბსტრაქტები

სარჩევი

ფელიქს ალბრეხტი, თარგმანის ტექნიკა ამბაკუმის წიგნში: ამბაკუმის ლოცვა (ამბ. 3).....	17
ეკატერინე გედევანიშვილი, ბიბლიური მოდელების ასახვა წმინდა გიორგის იკონოგრაფიაში (ურთხვის კანკელისა (XI ს.) და ცაცხვათის რელიეფის (X-XI სს.) მაგალითებზე)	18
მარიამ დიდებულიძე, ძველი აღთქმისეული თემები ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის მოხატულობაში	20
ნინო დობორჯგინიძე, ბიბლიის თარგმანი და ვერნაკულარული ენის ემანსიპაციის პროცესი (ქართულის მაგალითზე).....	21
ერიკ თუნო, სვეტი და ხე. შემოქმედებითი ბრიკოლაჟი შუა საუკუნეების საქართველოში.....	23
ნათია მიროტაძე, ქართული სალიტერატურო ენა და თარგმანის ტექნიკა ესთერის წიგნის ძველი ქართული ვერსიების შუქზე.....	24
რობერტ ს. ნელსონი, მეთერთმეტე საუკუნის სადღესასწაულო ლექციონარები.....	25
ანდრეს პიკე ოტერო	27
სეპტუაგინტას თარგმანები: ძველი ბერძნული და ახალი ეგზეგეტიკა	27
გიორგი პარპულოვი, თეოფილაქტეს სახარების კომენტარი: ხელნაწერი ტრადიციის დასაწყისი.....	28
ალისონ სალვესენი,	
როგორ იწრთობა სირიული, როგორც ქრისტიანული ენა	29
ზაზა სხირტლაძე, ირაკლი თეზელაშვილის, თამარ მაგრაქველიძის, სალომე მელაძისა და ელისაბედ უგულავას მონაწილეობით, წინასწარუწყება სახითა და სიტყვით: ძველი აღთქმის ციტატები შუა საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში	30

ემანუელ ტოვი , სეპტუაგინტას მთარგმნელთა მეთოდები საკუთარი სახელების გადმოცემისას	31
ლიკა ტოვი , ბიბლიური სახეები ბიბლიის თანამედროვე ილუსტრატორის თვალთ	32
ფრანკ ფედერი , სეპტუაგინტას კოპტური თარგმანი: მრავალდიალექტური საწყისებიდან სტანდარტულ ბიბლიამდე და საბოლოოდ – არაბულ თარგმანამდე	33
ბარბარა შელევალი , ტექსტი და გამოსახულება – ქართული კედლის მხატვრობის ტრანსლაციის სტრატეგიები	34
ნინო ჩიხლაძე , ბიბლიური არქეტიპები სვეტიცხოვლის კათედრალის მოხატულობაში	35
ნინო ჭიჭინაძე , წინასწარმეტყველთა გამოსახულებები ფერწერულ ხატებზე საქართველოდან	36
ანა ხარანაული , თარგმანის ტექნიკა – ბიძგი ქართული ენის განვითარებისათვის (ძველი აღთქმის უძველესი ქართული თარგმანების ლექსიკის მიხედვით)	37
ანა ხარანაული , თამარ მაგრაქველიძე, თინათინ ჯიქურაშვილი, ლიკა აბრალავა, ნათია მიროტაძე, ლალი ვაშაყმაძე, ნინო გიორგაძე, ბიბლიის ფაუნა (დოკუმენტირებული ლექსიკონი ბიბლიის ძველი ქართული თარგმანების მიხედვით)	39
ისკრა ჰრისტოვა-შომოვა , მითოლოგიური არსებები იობის წიგნში და მათი ინტერპრეტაცია სეპტუაგინტასა და სლავურ თარგმანებში	40

ფელიქს ალბრეხტი

გეტიנגენის მეცნიერებათა აკადემია
felix.albrecht@uni-goettingen.de

თარგმანის ტექნიკა ამბაკუმის წიგნში: ამბაკუმის ლოცვა (ამბ. 3)

მოცემული მოხსენება ეხება ე. წ. Canticum Habacuc-ს, ამბაკუმის გალობას (Hab 3). ეს პოეტური ტექსტი ტრანსმისიის გამორჩეული ისტორიითაც ხასიათდება და სხვადასხვა ლინგვისტური ფორმაც აქვს. Hab 3-ის ორი ტექსტუალური ფორმაა ჩვენამდე მოღწეული: (1) – სეპტუაგინტას, ანუ სტანდარტული, ვერსია; და (2) – ასე ვთქვათ, სპეციალური ვერსია, რომელიც მისი მთავარი წარმომადგენლის *Cod. Barberinianus* gr. 549 (Rahlfs MS. 86)-ის მიხედვით „ბარბერინის ტექსტად“ იწოდება.

ბარბერინის ტექსტის წყაროებია (რალფსის ნუმერაციით): V-456 62-147-86-407. ამათგან *კოდექს ვენეგუსსა* (V) და 456-ე ხელნაწერში (ეს უკანასკნელი ციგლერის გამოცემაში გათვალისწინებული არაა) ჯერ სტანდარტული ტექსტია წარმოდგენილი (vv. 1-3a), შემდეგ კი – ალტერნატიული. დანარჩენი ხელნაწერებიც (62-147-86-407) ორივე ტექსტს შეიცავენ: ოღონდ ჯერ ალტერნატიულ ვერსიას, შემდეგ კი სტანდარტულს (ოღონდ ლუკიანური რეცენზიისას). ფერნანდეს მარკოსის შეფასებით (1976), ბარბერინის ტექსტის ენობრივი მახასიათებლები მჭიდროდაა დაკავშირებული სვიმასხოსის სკოლის თარგმანის ტექნიკასთან. მიუხედავად ამგვარი დასკვნისა, მისი წარმომავლობა საბოლოოდ დადგენილი მაინც არ არის.

ბარბერინის ტექსტების ადაპტირებული ვერსია, როგორც ჩანს, საფუძვლად დაედო სეპტუაგინტას უძველეს ბეჭდურ კრიტიკულ გამოცემას, ე.წ. კომპლუტენზას. თუმცა, ამ გამოცემის ტექსტი არაერთ კითხვასხვაობას შეიცავს.

გარდა ამისა, Hab 3-ის ტრანსმისიის განსაკუთრებულობა იმაშიც გამოიხატება, რომ იგი სრულიად განსხვავე-

ბული კონტექსტის ხელნაწერებითაც ვრცელდებოდა, წარმოადგენდა რა სეპტუაგინტას გალობათა ნაწილს (კერძოდ, მე-4 გალობას).

მოხსენებაში მიმოვიხილავთ Hab 3-ის კვლევის ისტორიას (მათ შორის გავითვალისწინებთ უახლეს, მაგ., ჰარპერისა (2015) და მულრონის (2016)) კვლევებს) და შევეცდებით გავაანალიზოთ სხვადასხვა ტექსტობრივ ფორმათა მახასიათებლები და თარგმანის ტექნიკა.

ეკატერინე გედევანიშვილი

*გ. ჩუბინაშვილი ქაჩთუღი ხელოვნების ისტორია
ბოდო ძეგდთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი
guguchli@yahoo.co.uk*

ბიბლიური მოდელების ასახვა წმინდა გიორგის იკონოგრაფიაში (ურთხვის კანკელისა (XI ს.) და ცაცხვათის რელიეფის (X-XI სს.) მაგალითებზე)

რიტორიკული შედარების ტექნიკამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბიზანტიური ლიტერატურის არაერთ ჟანრში. ეს მხატვრული ხერხი ფართოდ გამოიყენებოდა სახვით ხელოვნებაშიც (ჰენრი მაგუაირი). შედარების მოდელებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა ძველი აღთქმიდან მომდინარე შედარებებს. ბიზანტიურ კულტურაში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ტოპოსად იქცა შედარება ბიზანტიის იმპერატორების ბიბლიურ „იდეალურ მმართველებთან“, ისეთებთან, როგორებიცაა ბიბლიური მეფეები – დავითი და სოლომონი.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ორ უნიკალურ ნიმუშს ქართული შუა საუკუნეების ხელოვნებიდან, რომლებიც ქრისტიანულ ხელოვნებაში აღნიშნული ტრადიციის ფართოდ გავრცელებაზე მეტყველებს. ურთხვის კანკელის ფილაზე (XI ს-ის პირველი ნახევარი) გამოსახულია წმინდა გიორგი, რომელსაც მტრის თავი შუბზე აქვს წა-

მოცემული, მტრის თავმოკვეთილი ფიგურა კი თავდაყირად, კომპოზიციის კუთხეშია მოცემული. ამ უჩვეულო იკონოგრაფიული სქემის „არქეტიპებად“ შეიძლება მივიჩნიოთ ბიბლიური მეფე დავითის ტრიუმფალური სვლის კომპოზიცია, რომელიც მისი გოლიათზე შერკინების შემდგომ იერუსალემში შესვლის ეპიზოდს ასახავს. ურთხვის აღნიშნული გამოსახულება აშკარად აერთიანებს წმინდა გიორგისა (დიოკლეთიანეს მლახვრელი წმინდა გიორგის) და ბიბლიური დავითის იკონოგრაფიულ ელემენტებს. მოხსენებაში ამ „კომპოზიტიური“ გამოსახულების იკონოგრაფიული თავისებურება განხილულია და ახსნილია ეპოქის ფართო ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში. ყოველივე ამასთან მიმართებით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბაგრატიონთა სამეფო სახლის ბიბლიური წარმომავლობის ისტორიას.

წმინდა გიორგის მეორე გამოსახულებაში – ცაცხვათის რელიეფზე ასახულია ცხენზე ამხედრებული წმინდა მეომარი, რომელიც მის ფერხთით მწოლიარე მტერს ლახვრავს. ამგვარი სცენებისთვის ტრადიციული დიოკლეთიანეს გამოსახულების ნაცვლად, მტერი იდენტიფიცირებულია როგორც მეფე ჰეროდე. ეს ჩანაცვლებაც იხსნება შედარების ხერხით, თუმცა, გიორგი-დავითის ანალოგიისგან განსხვავებით, აქ პარალელი გავლებულია არა „კეთილმმართველთან“, არამედ, პირიქით, უარყოფითთან. ჰეროდეს გამოსახულება შეიძლება გავიგოთ, როგორც ბოროტების განზოგადებული სახე, ამავედროულად გამოსახულება, რომელიც ბოროტი მმართველის რეალური პიროვნების აღუზიასაც შეიძლება გულისხმობდეს, როგორც ამას ვხვდებით წმინდა გიორგის მიერ დიოკლეთიანეს დალახვრის ტრიუმფალური სცენების შემთხვევაში (გიორგი ჩუბინაშვილის ინტერპრეტაცია). ნიშნეულია, რომ ისტორიული შედარების ეს მოდელი, რომელიც ჰეროდეს ფიგურას სისასტიკისა და ურწმუნოების სიმბოლოდ სახავს, ჩნდება ქართულ საისტორიო წყაროებშიც, რაც ცაცხვათის რელიეფის ნარატიულ პარალელად შეიძლება გავიაზროთ.

მარიამ დიდებულის

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქაჩთუდი ხელოვნების ისტორიისა
და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი
marididebuli@yahoo.com

ძველი აღთქმისეული თემები ყინცვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის მოხატულობაში

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნების გამოსახვის თემები ძირითადად ახალ აღთქმას ეფუძნებოდა, ისევე როგორც ეკლესიის მამათა თხზულებებს, ჰიმნოგრაფიას, ჰაგიოგრაფიას და სხვა ტექსტებს. თუმცა, კანონიკური წიგნების გარდა, აპოკრიფული თხზულებებიდან აღებული სიუჟეტებიც გამოისახებოდა, მაგ., აღდგომის ხატად აღიარებული ჯოჯოხეთის წარმოქმნის თემა მთლიანად ნიკოდიმოსის წიგნის სახელით ცნობილ აპოკრიფს ემყარება. ასევე საკმაოდ პოპულარული იყო ძველი აღთქმის სიუჟეტები. მათ განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდათ სახისმეტყველებითი თვალსაზრისით, როგორც სახარებაში განცხადებული მოვლენების წინასახეებსა და წინასწარუწყებებს.

შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში ძველი აღთქმიდან აღებული თემები საკმაოდ ხშირად აისახება როგორც მხატვრობაში, ასევე ქვის რელიეფებში (მაგ., დანიელი ლომთა ხაროში, იონა წინასწარმეტყველის ხსნა, სამი ყრმა ცეცხლოვან სახმილში, აბრაამის სტუმართმოყვარეობა, უძილი თვალი და სხვ.).

ყინცვისის XIII ს-ის დამდეგის კედლის მხატვრობის პროგრამაში ჩართულია ორი გამოსახულება, რომელიც ძველ აღთქმას უკავშირდება და სახისმეტყველებითი დატვირთვა აქვთ, კერძოდ, „ძირი იესესი“ და სამი ყრმა ცეცხლოვან სახმილსა შინა თავისი შინაარსით ღმრთისმშობელი მარიამის წინასწარუწყებათა რიგს უკავშირდება. თუმცა სხვა მნიშვნელობებიც გააჩნიათ და საქართველოს სამეფოს იმდროინდელ რელიგიურ და პოლიტიკურ ვითარებასთანაც არიან დაკავშირებულნი.

ნინო დობორჯგინიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
nino_doborjginidze@iliauni.edu.ge

ბიბლიის თარგმანი და ვერნაკულარული ენის ემანსიპაციის პროცესი (ქართულის მაგალითზე)

წინამდებარე მოხსენებაში განხილულია ქრისტიანული აღმოსავლეთის ადგილობრივი ენების განვითარებაზე, მათი სოციალური ფუნქციების გაფართოებაზე და საბოლოოდ, ამ ენების სტანდარტიზაციის პროცესზე ბიბლიის თარგმანების გავლენა. ნაჩვენებია, თუ როგორ განსაზღვრა გვიანანტიკურობასა და ადრეულ შუა საუკუნეებში ადგილობრივ ხალხურ ენებზე ბიბლიის თარგმნასთან დაკავშირებულმა ინკულტურაციულმა პროცესებმა ამ რელიგიური სამყაროს ვერნაკულარული ენების ემანსიპაციის პროცესი. ეს ენები - სირიული, კობტური, ეთიოპური, გოთური, სომხური, ქართული, ალბანური, საეკლესიო სლავური – არ წარმოადგენდნენ არც პოლიტიკური, რელიგიური ან კულტურული თვალსაზრისით გამორჩეულ ენებს (ვ. ბოედერი); მათ სწორედ ლიტურგიისა და ბიბლიის თარგმანების წყალობით შეიძინეს განსაკუთრებული სოციალური სტატუსი.

მოხსენებაში ვერნაკულარულ ენათა სოციალური ისტორიის კომპარატივისტული პერსპექტივიდან განხილულია შუა საუკუნეების ქრისტიანული სამყაროს ორი რეგიონი:

ა. რომის საეკლესიო სივრცე, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ენათა ფუნქციური დიფერენცირების პრინციპს, ანუ ეკლესიისა და კულტურის საყოველთაო ლათინური ენის განსაკუთრებულ სტატუსს, ლათინურის „სპირიტუალურ იმპერიალიზმსა და საკრამენტალურ კულტს“ (ჰანა ბარბარა გერლი) აღიარებდა. სწორედ ლათინურის პრიმატი იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლის გავლენით ქრისტიანულ დასავლეთში გაცილებით გვიან

დაიწყო ადგილობრივი ენების ემანსიპაციის პროცესი, მათი ქცევა სამწერლობო ენებად.

ბ. აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყარო, რომელშიც ბერძნული კი არ ასრულებდა რელიგიის საყოველთაო ენის ფუნქციას, არამედ ჩამოყალიბდა ნაციონალურენოვანი ეკლესიები, ბიბლიის თარგმანები, ზოგადად, რელიგიური ლიტერატურა; შესაბამისად, მისიონირების პროცესში გამოყენებულ ვერნაკულარულ ენებს აღმოსავლურმა (ინკულტურაციულმა) მოდელმა შეუქმნა ხელსაყრელი პირობები, გაეფართოებინათ სოციალური და საზოგადოებრივი ფუნქციები, გამდიდრებულიყვნენ გამომხატველობითი საშუალებების თვალსაზრისით და ბოლოს, ფუნქციურად გატოლებოდნენ ბერძნულს.

შუა საუკუნეების ქართული სამწერლობო ენის მაგალითზე მოხსენებაში გაანალიზებულია, რა გარემოებათა ფონზე დამკვიდრდა ენათა ემანსიპაციის აღმოსავლური მოდელი, რა არგუმენტები ჰქონდათ ბერძნებს ვერნაკულარულ ენებზე ბიბლიის თარგმანების საწინააღმდეგოდ და რას უპირისპირებდნენ ამ არგუმენტებს ადგილობრივი ეკლესიები.

ბიბლიის თარგმანების ლეგიტიმაციის პერსპექტივიდან განხილულია ძველი ქართული სამეცნიერო პროზა - ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანებზე, ასევე ზოგადად, ნათარგმნ და ორიგინალურ ქართულ ტექსტებზე დართული მეტატექსტები (კომენტარები, სქოლიოები). მათში ძველი ქართველი მწერლები და მთარგმნელები საუბრობენ ბიბლიისა და ზოგადად, რელიგიური ლიტერატურის თარგმანთა გავლენის შესახებ სამიზნე ენაზე, ბიბლიის ენების, ებრაულისა და ბერძნულის თვისებებებისა და მათი ქართულში გადმოტანის შესახებ. ამ მეტატექსტებში ბიბლიის თარგმანთან დაკავშირებული საკითხები გაანალიზებულია როგორც იმპლიციტურ (მთარგმნელობითი მეტაფორები), ისე თეორიულ (ტერმინები) დონეზე. ძველ ქართველ ავტორთა და მთარგმნელთა ამ პირველწყაროებში კარგად ჩანს, რა როლს ანიჭებდნენ ისინი ბიბლიის თარგმანს ენის ფუნქციური ლეგიტიმაციისა და მისი გამომსახველობითი საშუალებების დახვეწის პროცესში.

ერიკ თუნო

हाङ्गहैहसिहसिह उनिहैहसिहहैह
thuno@rutgers.edu

სვეტი და ხე.

შემოქმედებითი ბრიკოლაჟი შუა საუკუნეების საქართველოში

ჩემი ნაშრომი ეხება სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის (მცხეთა, საქართველო) ცხოველმყოფელ სვეტს, IX-X საუკუნეების ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში – „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ – და მის მიმართებას კედარის ხესთან. მე მივიჩნევ, რომ ამგვარი გაიგივება არა მარტო ბიბლიასა და იერუსალიმთან მიმართების წარმოჩენის სურვილით იყო განპირობებული, არამედ იგი ეფუძნებოდა წმიდნა ხეებთან არქიტექტურული სვეტების დაკავშირების უძველეს ადგილობრივ ტრადიციას. ამგვარად, III საუკუნიდან მოყოლებული, ცხოველმყოფელი სვეტი ცოცხლდებოდა და აღივსებოდა სინმინდით. ამ პროცესში აღესრულებოდა ახალ-ახალი სასწაულები და, შესაბამისად, სვეტმაც დაიმკვიდრა ახალი სახელი – „ცხოველმყოფელი სვეტი“. შესაბამისად, ჩემი აზრით, ცხოველმყოფელი სვეტი ნაცვლად იმისა, რომ დარჩენილიყო ძველი წარმართული კულტის ნაშთად თუ რწმენისეულ ანომალიად, წმინდა ხესთან გაიგივებით, გახდა ნაწილი იმ შემოქმედებითი პროცესისა („ბრიკოლაჟისა“ - კლოდ ლევი-სტრაუსის მიხედვით), რომლის მეშვეობითაც ინსტიტუციურად დაწინაურებული ქრისტიანული და ტრადიციული ელემენტები ერთმანეთს კონკრეტული რელიგიური გარემოს მოთხოვნით შეერწყა. საბოლოოდ, ამ პროცესის მიზანი იყო წარმოეჩინა ცხოველმყოფელი სვეტისა და სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის, როგორც შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი უწინარესი ძეგლის, ავტორიტეტი.

ნათია მიროტაძე

კოხნედი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის
ზადებუხის უნივერსიტეტი, კათოლიკური თეოლოგიის ფაკულტეტი
natia_mirotdze@yahoo.com

ქართული სალიტერატურო ენა და თარგმანის ტექნიკა ესთერის წიგნის ძველი ქართული ვერსიების შუქზე

ქართულად ესთერის წიგნის ორი ძველი თარგმანი არსებობს, რომლებსაც პირობითად Gel-ითა და Gell-ით აღვნიშნავთ.

Gel – ოშკის ბიბლიაში დაცული ვერსია – AT-ის სრული ფორმის ერთადერთი თარგმანია.

Gell კი, რომელიც ესთერის წიგნის ქართულ წყაროთა უმრავლესობაშია დაცული (A-570, A-646, H-885, A-51), წარმოადგენს კომპილირებული ნარევი, კონტამინირებული, კონგლომერატი ტექსტის თარგმანს.

მიუხედავად იმისა, რომ ესთერის წიგნის ორი ძველი ქართული თარგმანი სხვადასხვა დედნიდანაა შესრულებული, ერთი მხრივ, კომპილაციის და, მეორე მხრივ, იმის გამო, რომ გარკვეული მონაკვეთები LXX ესთერსა და AT-ში იდენტურია, შესაძლებლობა გვაქვს ერთმანეთს შევუპირისპიროთ თარგმანის ტექნიკისა და სტილის თვალსაზრისით ქართული სალიტერატურო ენის განვითარების დაახლოებით ერთ პერიოდში შესრულებული ორი თარგმანი და დავაკვირდეთ:

1. ბერძნულის რომელი ენობრივი თავისებურების გადმოტანა უქმნის მთარგმნელთ განსაკუთრებულ სირთულეს;

2. რა საშუალებებს არჩევენ ქართულისათვის არაბუნებრივი კონსტრუქციების გადმოსატანად;

3. როგორც ქართული ენის შესაძლებლობებს ერთი ტექსტის სხვადასხვა თარგმანის მაგალითზე, ასევე მთარგმნელთა სტილსა და უზუსტაც.

მოხსენებაში სწორედ ამ თვალსაზრისით იქნება გან-
ხილული სხვადასხვა ენობრივი შრის (ლექსიკური, გრამა-
ტიკული, სტილისტური) მოვლენები.

რობერტ ს. ნელსონი

იელის უნივერსიტეტი
robert.nelson@yale.edu

მეთერთმეტე საუკუნის სადღესასწაულო ლექციონარები

ლექციონარები შეიცავს სახარების პასაჟებს, რომლე-
ბიც ლიტურგიის დროს იკითხება. აღნიშნული მონაკვეთები
შესწავლილია ახალ აღთქმაზე მომუშავე მეცნიერთა და
ხელოვნების ისტორიკოსთა მიერ. ამათგან პირველებმა,
ტექსტოლოგებმა, მეორეებს დაასწრეს. ტექსტოლოგები
ეძებდნენ ტექსტის დეტალებს, რომლებიც სახარების ად-
რეული ვერსიებიდან მომდინარე შეიძლებოდა ყოფილი-
ყო. მათ საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაიწყეს შემორჩენილი
ლექციონარების ინვენტარიზაცია და დღესდღეობით ლექ-
ციონარის კატალოგიზებული ხელნაწერები 2400-ზე მეტ
ეგზემპლარს ითვლის.

ხელოვნების ისტორიკოსები, კურთ ვაიცმანიდან მო-
ყოლებული, ილუსტრირებულ ლექციონარებს იკვლევენ.
ახლაბან მერი-ლიონ დოლუბალმა აღმოაჩინა აია სოფი-
ასთვის მეთერთმეტე საუკუნეში შექმნილი საპატრიარქო
ლექციონარები, ხოლო ანა ზახაროვამ შეისწავლა მოსკო-
ვის ხელნაწერი და სისტემატურად მიმოიხილა ყველა ის
ლექციონარი, რომელიც ფიგურულ დეკორს შეიცავდა. ჩე-
მი ინტერესის სფეროს კი ლექციონართა მცირე ჯგუფი
წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ რამდენიმე საკითხავს
შეიცავს, მეტად თავისებურად დალაგებულს.

2400 ლექციონარს შორის ოთხი მთლიანად ოქროს
მელნითაა შესრულებული, რაც მათი ფასისა და პრესტი-

ქის უტყუარი ნიშანია. ამათგან სამი საეკლესიო წლის ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაულებისთვის განსაზღვრულ ერთსა და იმავე, ოცდაორ პერიოდს შეიცავს. ბიზანტიური წყაროები ასეთ წიგნებს სადღესასწაულო ლექციონარებს უწოდებდნენ. ხსენებული ოთხი ოქროს ლექციონარია: მოსკოვი, ისტორიული მუზეუმი gr. 511; ფლორენცია, Bibl. Laur. Med. Palat. 244; ათონი, Vatopedi, Skevophylakion 4 და Chilandar 105. ამჟამად ვმუშაობ წიგნზე ფლორენციაში დაცული ხელნაწერის შესახებ ამ უკანასკნელის შემდგომი უნიკალური ისტორიის გამო. მაგრამ მოცემულ მოხსენებაში მსურს, ყურადღება გავამახვილო მხოლოდ მისი და მასთან დაკავშირებული ხელნაწერების შექმნაზე მეთერთმეტე საუკუნის ბოლოს.

ფლორენციისა და მოსკოვის ლექციონარები დაწერილია ერთი და იმავე მწიგნობრის მიერ, რომელთაც გადაწერილი აქვთ ასევე ჩეზენას, ათენის და სტამბოლის ლექციონარები – ამათგან არცერთი ოქროს მეღნით არ არის შესრულებული. ოთხი ოქროს ლექციონარი მოხატულობისა და კოდიკოლოგიური თავისებურებების თვალსაზრისით ერთმანეთის მსგავსია და ერთნაირად თარიღდება. ქილანდარის ხელნაწერის გარდა, ყველა მინიატიურებითაა შემკული. მოსკოვისა და ფლორენციის ხელნაწერები გაფორმებული უნდა იყოს ერთი პიროვნების მიერ; სხვა უნდა იყოს ვატოპედის ნაკლებ ნიჭიერი მხატვარი. ტექსტის ერთი საკითხავის შესწავლამ გვაჩვენა, რომ ხელნაწერები ერთი საერთო დედნიდან არის გადაწერილი. ამრიგად, ხელნაწერის გადამწერმა, და არა დამკვეთმა, განსაზღვრა, რომელი ტექსტი უნდა აეღო საფუძვლად. მოდელად აღებული ხელნაწერი და თავად მწერალი ერთსა და იმავე სკრიპტორიუმს უნდა უკავშირდებოდეს, რომელიც უეჭველად კონსტანტინოპოლში ფუნქციონირებდა. ამ ქალაქს კიდევ რამდენიმე ასეთი კრებული შეიძლება დავუკავშიროთ. ფლორენციის კრებულში მოგვეპოვება მოგვიანო, კონსტანტინეპოლური ლიტურგიკული განგების ამსახველი ტექსტები. სკრიპტორიუმი დღემდე არ არის იდენტი-

ფიცირებული, თუმცა ფლორენციისა და მასთან დაკავშირებული ხელნაწერები გვებმარება უკეთ გავერკვეთ წიგნის შექმნის პროცესში შუა საუკუნეების კონსტანტინოპოლში.

ანდრეს პიკე ოტერო

მაღიდი, კომპლუტენზას უნივერსიტეტი
apiquer@ucm.es

სეპტუაგინტას თარგმანები: ძველი ბერძნული და ახალი ეგზეგეტიკა

სეპტუაგინტას თარგმანების შესწავლა ორი, შეიძლება ითქვას, ურთიერთსაპირისპირო, მიზნის გამო ბიბლიის ტექსტის ისტორიის მნიშვნელოვან და არსებით ნაწილად უნდა იქნეს მიჩნეული. ერთის მხრივ, თარგმანები, ტრადიციულად, განიხილება როგორც ეგზეგეტიკურ და მთარგმნელობით თავისებურებათა წყარო, რომელიც თარგმანის ეპოქაზე მეტყველებს, ასევე, განიხილება როგორც კრიტიკული ფაქტორი გვიანანტიკური პერიოდის საზოგადოებათა შესასწავლად და, ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც დასაბამი ეროვნული ლიტერატურისა (მაგ., ეთიოპურის, სომხურის, ქართულის...).

მეორეს მხრივ, გასული საუკუნის კვლევებმა ნათლად აჩვენა, რომ სეპტუაგინტას თარგმანები მნიშვნელოვანია თავად ბერძნული ტექსტის ისტორიის აღსადგენადაც, რადგანაც თარგმანთა დედნები (განსაკუთრებით ძველი ლათინურისა) შესაძლოა ინახავდეს ბერძნულის იმ ტექსტუალური ტიპის თავდაპირველ ფორმას, რომელიც თავად ბერძნულ ტრადიციაში ინტენსიური რევიზირება-რეცენზირების (მაგ., კაი გე და ჰექსაპლა) გამო ძნელად ამოსაცნობი გახდა. შესაბამისად, სეპტუაგინტას თარგმანების ტექსტუალური მონაცემები ერთგვარი საშუალებაა სეპტუაგინტას ძველი ბერძნული ტექსტის დასადგენად. აქ განსაკუთ-

რებით ის წიგნები იგულისხმება, რომლებმაც ბერძნულში მასორეთოფილური სწორებების ინტენსიური პროცესი გაი-
არა (მაგ., მეფეთა წიგნები). თუმცა ეს პროცესი არ არის
სწორხაზოვანი, რადგან სეპტუაგინტას თარგმანების ტექ-
სტუალურ ტრადიციათა ნაწილი დროდადრო დაფუძნებუ-
ლია სხვადასხვა ტიპის ბერძნულ ხელნაწერთა ეკლექტურ
(თუ ქაოტურად წარმოქმნილ) კოლექციებზე. მთარგმნელე-
ბი და გადამწერები დროდადრო ავლენენ ბერძნული ტრა-
დიციის ტექსტუალური პრობლემების ცოდნას და ინიცია-
ტივასა და შემოქმედებით მიდგომასაც კი იჩენენ, რაც ამა
თუ იმ იკითხვის მიღებაში, დუბლეთების, კომპოზიციებისა
და ლიტერატურული ინტერპრეტაციების შექმნაში ვლინ-
დება. ამ თვალსაზრისით, სეპტუაგინტას თარგმანების მა-
ხასიათებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი უშუალოდაა და-
კავშირებული სეპტუაგინტას ბერძნული ტრადიციის ტექ-
სტუალურ მრავალფეროვნებასთან (რაც, თავის მხრივ, ბიბ-
ლიის არაერთი წიგნის შემთხვევაში, ებრაულ რედაქციათა
თუ გამოცემათა სიმრავლითაა განპირობებული).

ამგვარად, თარგმანთა ტექსტუალური ანალიზი გვიხ-
სნის კარს აღვადგინოთ და გავიგოთ ბიბლიის ტრანსმისი-
ის დინამიკა რედაქტირების ადრეული ფაზიდან გვიანან-
ტიკური ეპოქის რეცეფციებამდე.

გიორგი პარპულოვი

გეგინგენის მეცნიეებათა აკადემია
georgi.parpulov@mail.uni-goettingen.de

თეოფილაქტეს სახარების კომენტარი: ხელნაწერი ტრადიციის დასაწყისი

ოთხთავის კომენტარი, რომელიც ბულგარეთის მთა-
ვარეპისკოპოსმა თეოფილაქტემ დაახლოებით 1085 წელს
შექმნა, 195-ამდე ხელნაწერშია შემორჩენილი. აქედან სა-
მი (Paris. gr. 197; Vindob. theol. gr. 90; Tirana 488, dos. 12) გამო-

ირჩევა არაჩვეულებრივი კალიგრაფიული ხელითა და მიძღვნილი ეპიგრამით. საფიქრებელია, რომ სამივე მათგანი იყო თხზულების ავტორის პირადი ზედამხედველობით მომზადებული „საგამომცემლო ასლი“. თუ ეს ვარაუდი სწორია, მოცემული ხელნაწერები გვიჩვენებენ, თუ როგორ განსაზღვრავდა ბიზანტიელი ავტორი თავისი ტექსტის გარეგნულ სახეს – გრაფიკულ პრეზენტაციასაც, ირჩევდა რა კალიგრაფიულ ხელსა თუ სტილს, რომლითაც ეს ტექსტი უნდა გავრცელებულიყო.

ალისონ სალვესენი

ოქსფორდის უნივერსიტეტი
alison.salvesen@orinst.ox.ac.uk

როგორ იწრთობა სირიული, როგორც ქრისტიანული ენა

წინამდებარე მოხსენებაში მიმოვიხილავთ სირიულს, როგორც ქრისტიანული ლიტერატურის გავრცელების საშუალებას და პეშიტას ძველი აღთქმის სირიულის მიმართებას იმ სირიულთან, რომელიც წარმართული ედესისა და ოსროენეს წარწერებსა და დოკუმენტებშია დადასტურებული. ასევე, ერთმანეთს შევუდარებთ სირიულ რელიგიურ და ებრაელთა არამეულში გამოვლენილ ტერმინოლოგიას. კიდევ ერთხელ მივუბრუნდებით, ძველ, ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ, პრობლემას იმის შესახებ, თუ სად შესრულდა პეშიტას ძველი აღთქმის თარგმანები – ედესაში თუ ადიაბენეში, სადაც, როგორც ცნობილია, ქრისტესით I საუკუნეში იუდაიზმი მიიღო სამეფო სახლმა. ასევე, შევეცდებით გავარკვიოთ, ვინ შეასრულა ეს თარგმანი – ებრაელებმა, მოქცეულმა ებრაელებმა თუ ქრისტიანებმა.

ზაზა სხირტლაძე
ირაკლი თებელაშვილის, თამარ მაგრაქველიძის,
სალომე მელაძისა და ელისაბედ უგულავას

მონაწილეობით

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
zaza.skhirtladze@tsu.ge

წინასწარუწყება სახითა და სიტყვით:
ძველი აღთქმის ციტატები შუა საუკუნეების
ქართულ კედლის მხატვრობაში

საქართველოში არსებული ქართული და ბერძნული ფრესკული წარწერების კვლევას მრავალწლიანი ისტორია აქვს, თუმცა, მიუხედავად ამისა, მასალა სრულად შეგროვებული და სისტემატიზებული არ ყოფილა. 2019 წელს, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ხელშეწყობით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის ქართული ხელოვნების კვლევის ცენტრში საფუძველი დაედო წამოწყებას, რომელიც მიზნად ისახავდა შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ძეგლებში არსებული ძველი აღთქმის ციტატების აღნუსხვას, სისტემატიზებასა და კვლევას – მათი მიმართებების გარკვევას ძველ ქართულ და ბიზანტიურ სამწერლობო და სახელოვნებო ტრადიციებთან.

მოხსენებაში წარმოვადგენთ კვლევის ახლებურ მეთოდს და კონკრეტული მაგალითებით ვაჩვენებთ პროექტის განხორციელების ამჟამინდელი ეტაპის შედეგებს. მკვლევართა ჯგუფის მიერ მოძიებულ და შეკრებილ იქნა IX-XVIII საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ას ოცზე მეტ ძეგლზე არსებული ქართული და ბერძნული ციტატები ძველი აღთქმიდან. იდენტიფიცირებულ იქნა ქართული წარწერების უმეტესობა. ტექსტები გაიმართა ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის პრინციპების მიხედვით. შეძლებისდაგვარად დაზუსტდა და გაიმართა უკვე აღნუსხული ბერძნული წარწერები. წარწერების ტექსტი შეუდარ-

და ძველი აღთქმის კრიტიკულად დადგენილ ტექსტსა და მის კრიტიკულ აპარატში დოკუმენტირებულ ვარიანტებს; ქართულის შემთხვევაში ციტატები შეუდარდა ბიბლიისა და ლექციონარის შემორჩენილი ხელნაწერების ტექსტებს. ამგვარმა, ტექსტების სიტყვასიტყვითმა, შედარებამ აჩვენა, რომ ციტატების წყარო ლიტურგიკულ პრაქტიკაში გამოყენებული ტექსტი უნდა ყოფილიყო. მრავალმხრივ საგულისხმო აღმოჩნდა დაკვირვებები, რომლებიც უკავშირდება ძველადღთქმისეული ციტატების ადგილს ფერწერულ ანსამბლებში: თვალსაჩინო გახდა მრავალგვარი, არატიპობრივი გადაწყვეტების სიმრავლე, რაც თავს იჩენს მოხატულობათა პროგრამებში სათანადო შინაარსობრივი მახვილების დასმასთან მიმართებით.

ემანუელ ტოვი

იეჰუსადიმის ებრაული უნივერსიტეტი
emanuel.tov@mail.huji.ac.il

სეპტუაგინტას მთარგმნელთა მეთოდები საკუთარი სახელების გადმოცემისას

მოხსენების ყურადღების ცენტრშია ის, თუ რამდენად თანმიმდევრულად არის ასახული, კერძოდ, კი ტრანსლიტერირებული, ებრაული ბიბლიის საკუთარი სახელები სეპტუაგინტაში. ამ მოვლენის განხილვა საზოგადო სახელების თარგმანისაგან განცალკევებით არ შეიძლება: როგორც საზოგადო სახელების შემთხვევაში, აქაც ვხედავთ ფიქსირებული ტერმინოლოგიის კუნძულებს ცალკეულ მთარგმნელთათვის დამახასიათებელ შტრიხებთან ერთად. თუმცა, ტრანსლიტერაციების შემთხვევაში ანალიზი უფრო იოლია, რადგან ტრანსლიტერირებული ლექსიკა არაა კონტექსტით განპირობებული და, შესაბამისად, თანმიმდევრულობის მიღწევაც უფრო მარტივია.

ჩვენს მოკლე ნაშრომს არ აქვს პრეტენზია ამომწურავობაზე, მაგრამ შეგიქმნით შთაბეჭდილებას იმის შესახებ, რომ საკუთარი სახელები იმთავითვე ხასიათდებოდა ფიქსირებული ეკვივალენტურობის მაღალი ხარისხით. მოხსენებაში ჩამოვთვლით ამ ვითარების გამომწვევ რამდენიმე უმთავრეს მიზეზს (თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ არც ერთი მათგანი არ ხსნის სიტუაციას მთლიანობაში): თარგმნის დაწყებისთანავე არსებობდა ტრანსლიტერაციის ერთიანი სისტემა; არსებობდა გროსაჩიუმები; ხუთწიგნეულის ლექსიკურმა ეკვივალენტებმა ლექსიკონის როლი შეასრულა და გავლენა მოახდინა შემდგომი წიგნების თარგმანებზე; ასევე, განვიხილავ შესაძლებლობასაც, რომ წინასწარ არსებობდა გარკვეული სიები იმ თემში, რომელშიც მთარგმნელები ცხოვრობდნენ.

ლიკა ტოვი

იჩუხსადიში

likatov@gmail.com

ბიბლიური სახეები ბიბლიის თანამედროვე ილუსტრატორის თვალით

ჩემი მოხსენება მხოლოდ ბიბლიის ილუსტრირებულ გამოცემებს კი არ შეეხება, არამედ ბიბლიის ერთი და იმავე მონაკვეთის სხვადასხვა ავტორის მიერ შესრულებული დასურათების შედარებასაც ისახავს მიზნად. ვეცდები მარტივად და მოკლედ, მაგალითების მოშველიებით, ვაჩვენო, თუ როგორ ხატავდნენ ბიბლიური ისტორიებით შთაგონებულ ილუსტრაციებს შუა საუკუნეებდან დღემდე.

პრეზენტაციაში წარმოვადგენ რამდენიმე ცნობილ ნახატს, საკუთარ ილუსტრაციებსა და ილუსტრირებულ ბიბლიების ფოტოებს, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ბიბლიოთეკაში სტუმრობისას თავად გადავიღე.

ფრანკ ფედერი

გეტინგენის მეცნიეებათა აკადემია
frank.feder@mail.uni-goettingen.de

სეპტუაგინტას კოპტური თარგმანი: მრავალდიალექტური საწყისებიდან სტანდარტულ ბიბლიამდე და საბოლოოდ – არაბულ თარგმანამდე

ეგვიპტური ენა და ლიტერატურა წერილობითი კულტურის 3000 წელზე მეტი ხნის ისტორიას ითვლის. ეს იყო კულტურა, რომელიც ნილოსის ხეობაში ყვაოდა და რომელსაც ხშირად „ფარაონთა ეგვიპტის“ კულტურასაც უწოდებენ. ალექსანდრე მაკედონელის მეთაურობით ბერძენთა მიერ ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ (332 წ. ქრისტემდე), ნილოსის ხეობის ძველი კულტურისა და მისი ენის ისტორიაში ახალი თავი გადაიშალა. პტოლემეაიოების მმართველობის დროს და შემდგომ (ქრისტემდე 30 წ.), რომის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ეგვიპტე იქცა დიგლოსიურ ქვეყნად, რომელსაც ჰქონდა კარგად განვითარებული ორენოვანი – ბერძნულ-ეგვიპტური – კულტურა. ქრისტესით III საუკუნეში ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანობის აღზევებასთან ერთად ეგვიპტემაც ძირეული რელიგიური და კულტურული ცვლილება განიცადა.

ამ საუკუნეში შეიქმნა ახალი, ანბანური დამწერლობის სისტემა, რომელსაც მოგვიანებით კოპტური დამწერლობა ეწოდა. იგი ეფუძნებოდა ბერძნულ ანბანს, რომელსაც დამატებული ჰქონდა ექვსი (ან შვიდი), ძველი დემოტური დამწერლობიდან ნასესხები ასო-ნიშანი. ახალი ანბანი თითქმის ექსკლუზიურად გამოიყენებოდა ბერძნული ბიბლიის ეგვიპტური თარგმანისათვის წერილობითი ფორმის მისაცემად.

ეგვიპტეში ქრისტიანული ბიბლია თავდაპირველად მეტროპოლიების ორენოვან გარემოში ბერძნულ ენაზე გავრცელდა. მოგვიანებით (ქრისტესით III(?)-IV სს.), ადრეუ-

ლი ეგვიპტური თარგმანები სხვადასხვა ლიტერატურულ დიალექტზე სრულდებოდა, რასაც მეოთხე-მეხუთე საუკუნეების მიჯნაზე, სამონასტრო ინსტიტუტის განვითარებასთან ერთად, საჭიდურ დიალექტზე სტანდარტული ბიბლიის თარგმნაც მოჰყვა. სწორედ ამ უკანასკნელმა ჩაანაცვლა ყველა სხვა ადრინდელი, საჭიდურ თუ სხვა დიალექტებზე შესრულებული, ვერსია. ეს თარგმანი, როგორც ნმინდა ბიბლია, კოპტურ მართლმადიდებლურ ეკლესიაში მეთორმეტე საუკუნემდე იხმარებოდა – იმ დრომდე, როდესაც კოპტების ქრისტიანული ლიტერატურული მემკვიდრეობა არაბულად ითარგმნა, ხოლო კოპტური ბიბლიის შემცირებული კანონი, შესრულებული ბოჰაიურ ანუ ჩრდილოეთეგვიპტურ დიალექტზე, არაბულ თარგმანთან ერთადლა გამოიყენებოდა ღვთისმსახურებისას.

ბარბარა შელევალდი

ბაზელის უნივერსიტეტი
barbara.schellewald@unibas.ch

ტექსტი და გამოსახულება – ქართული კედლის მხატვრობის ტრანსლაციის სტრატეგიები

მოკლე თეორიული პრელუდიის შემდეგ, მოხსენებაში ქართული კედლის მხატვრობის მაგალითებზე დაყრდნობით წარმოდგენილი იქნება ტექსტიდან გამოსახულებაზე გადასვლის, ტრანსლაციის, სხვადასხვა მოდალობები. მოხდება კონკრეტული მოდელების იდენტიფიკაცია. ყურადღების ცენტრში ორი ფენომენი მოექცევა: ერთი მხრივ, სახვითი მხარე, რომელიც წარატიული გამოსახულების რეგულირებას განსაზღვრავს, მაგ., ფიგურათა კომპონირება, ჟესტიკულაცია და სხვ. და, მეორეს მხივ, უშუალოდ მაყურებლისკენ მიმართული, მაყურებელზე ორიენტირებული მოდელი – მაგ., გამოსახულებაში მაყურებლის თანამონაწილეობის მხატვრული ხერხები და საშუალებები.

ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, საყურადღებოა მხატვრული ნაწარმოების სივრცობრივი პროექცია, რომელიც მაყურებლის მზერის ინტენსივობას განსაზღვრავს. და ბოლოს, განხილული იქნება აღნიშნული სტრატეგიული მოდელების ურთიერთმიმართება (შიდა და მაყურებელზე მიმართული მზერა).

ნინო ჩიხლაძე

საქართველოს უნივერსიტეტი
nino_chikhladze@yahoo.com

ბიბლიური არქეტიპები სვეტიცხოვლის კათედრალის მოხატულობაში

იშვიათია შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური მხატვრობის ძეგლი, რომელშიც უშუალოდ არ იყოს ჩართული არა მხოლოდ ბიბლიური პერსონაჟები (წინასწარმეტყველები, მეფეები, გმირები), არამედ სცენები და კომპოზიციები. მათი სიმბოლურ-პარადიგმული გააზრება კი, მეტწილად, მთავარი გასაღებია მოხატულობის შინაარსის გახსნისთვის, კონკრეტული ეკლესიის პატრონი წმინდანისადმი მიძღვნის მიზეზისა თუ მოცემული ეპოქის სახელმწიფოებრივი ხედვის გასაგებად. ამ მხრივ, გამორჩეულად „დატვირთულ“ სურათს იძლევა სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის მხატვრობა, რომლის მეტი წილი თუმცა კი XVII საუკუნის პოსტბიზანტიური მოხატულობებია, მაგრამ მათი შინაარსი უშუალოდ უკავშირდება ქართველი ერის ქრისტიანული ისტორიის საწყისების საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე წმინდა გადმოცემებს.

მოხატულობათა საკვანძო გამოსახულებების ლიტერატურულ წყაროებთან შეჯერებული კვლევის საფუძველზე იკვეთება, რომ „საუფლო კვართის, ღმრთივამაღლებული სვეტისა და ღმერთმყოფელი მირონის“, ანუ სვეტიცხოვლის საკრალური ტრიადის სახვითი ხატი ბიბლიურ წი-

ნასწარმეტყველოთა ხილვებზე დაფუძნებული „ძველი დღეთა“, რომელიც მოიცავს როგორც ქრისტეს განკაცების წინასწარუწყების, ისე განკითხვის დღის კონტექსტს. ის უშუალოდ ეპასუხება სვეტიცხოველთან დაკავშირებულ წყაროებში მრავალგზის განმეორებულ გზავნილს, რომ „დრომდე“ ანუ ქართველი ერის გაქრისტიანებამდე მცხეთაში დამარხული უხილავი და უხრწნელი კვართით უფალი მეორედ მოსვლის ჟამს შეიმოსება. ეს განსაზღვრავს სვეტიცხოვლის მონუმენტური დეკორის საკვანძო გამოსახულებების არჩევანს გადმოცემულს „ძველი დღეთასა“ და მისი იკონოგრაფიული თუ შინაარსობრივი ვარიაციების („მამა-ძეობის“, „ახალი აღთქმის სამების“, „ყოველი სული აქებდით უფალსას“) სახით.

ნინო ჭიჭინაძე

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
nino_chichinadze@iliauni.edu.ge*

წინასწარმეტყველოთა გამოსახულებები ფერწერულ ხატებზე საქართველოდან

მოხსენებაში განხილულია საქართველოში შემონახული ფერწერული ხატები წინასწარმეტყველოთა გამოსახულებებით. ჩვენამდე მოღწეული მცირერიცხოვანი ხატწერის ქმნილებები, რომლებზეც წინასწარმეტყველები არიან გამოსახულნი, სხვადასხვა იდეურ-იკონოგრაფიულ ინტერპრეტაციასა და მიდგომას წარმოაჩენენ. ეს ხატები სხვაობს ერთმანეთისგან ფორმით, ფუნქციით, მხატვრული ოსტატობითა და შექმნის დროით: მეცამეტე საუკუნით დათარიღებული იელის იონა წინასწარმეტყველის ხატი, სავარაუდოდ, კანკელის ვედრების რიგიდან წარმოდგება; მეთოთხმეტე საუკუნის მცირე ზომის კარედი უშგულიდან პირადი ღვთისმოსაობისთვის უნდა ყოფილიყო შექმნილი; მეცამეტე საუკუნის ღვთისმშობლის ხატისთვის შექმნილი

კარედის ცენტრალურ ნაწილზე გამოსახული წინასწარმეტყველები მეთოთხმეტე საუკუნეს განეკუთვნებიან. მცირე წინასწარმეტყველთა გამოსახულებები განთავსებულია მეცამეტე საუკუნის თავისებური კომპოზიციის ჯვრის სანაწილეზე, ე.წ. სილიხანის ხატ-რელიკვარიუმზე, რომლის წარწერაში დამკვეთი მათ, წმინდანებთან ერთად, მეოხებისა და მფარველობისთვის მიმართავს. ჩამოთვლილი ხატების ინტერპრეტაცია და მათი რელიგიურ-კულტურული კონტექსტის გარკვევა რთულდება, რადგან ხატები თავდაპირველ ადგილას არ არიან დაცულნი.

მოხსენებაში განხილულ წინასწარმეტყველთა გამოსახულებებს, რომლებიც სხვადასხვა ვიზუალური კონსტრუქციების ნაწილს შეადგენენ, საკუთარი სემანტიკური დატვირთვა აქვთ. საქართველოში შემონახული ხატების მხატვრული და კონცეპტუალური სისტემები სხვადასხვა წყაროებითა და მოდელებით არის ნასაზრდოები. ხატების იკონოგრაფიული სქემები, სტილი და წარწერები მათი შექმნის, სოციალურ-კულტურული გარემოსა და შუა საუკუნეების საქართველოში წინასწარმეტყველთა თაყვანისცემის ადგილობრივი ტრადიციის შესახებ გარკვეული მოსაზრებების გამოთქმის საშუალებას იძლევა.

ანა ხარანაული

*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ana.kharanauli@tsu.ge*

თარგმანის ტექნიკა – ბიძგი ქართული ენის განვითარებისათვის (ძველი აღთქმის უძველესი ქართული თარგმანების ლექსიკის მიხედვით)

ქართულ ქრისტიანულ სამწერლობო ენას საფუძველი წმინდა წერილის თარგმნამ ჩაუყარა. ამიტომაც ბუნებრივია, რომ ბიბლიის ქართულისა და, შესაბამისად, ქართული მწიგნობრული ენის კვლევა ბიბლიის ძველი

ქართული ვერსიების თარგმანის ტექნიკის კვლევასთან არის დაკავშირებული.

წინამდებარე მოხსენებაში განვიხილავ ძველი აღ-თქმის უძველეს ქართულ თარგმანებში ლექსიკის სხვა-დასხვაგვარი გადმოტანის ხერხს:

ტრანსკრიბციას – ესაა ლექსიკური ერთეულების ასო-ასო გადმოტანა თარგმანში;

ტრანსლაციას – სათარგმნი სიტყვის სემანტიკის ტრანსლაცია, გადმოტანა თარგმანის ენაში არსებული ლექსიკური ფონდისა თუ აპრობირებული ლექსიკური მოდელების გამოყენებით, რომლის დროსაც დედანთან ფორმალური ეკვივალენტურობა რელევანტური არ არის;

იმიტაციას – სათარგმნი სიტყვის (კომპოზიტებისა და დერივანტების) ფორმალური მოდელების მიბაძვა და შესაბამისად გადმოტანა;

ემულაციას და **სიმულაციას** – შეჯიბრი დედნის ენასთან და ისეთი ქართული ეკვივალენტის შექმნა, რომელიც დედანში არ არის და ბერძნულის მოდელის სიმულაციას წარმოადგენს;

ინტერპრეტაციას – როდესაც მთარგმნელი ამა თუ იმ მიზეზით უარს ამბობს ფორმალურ თარგმანზე და საკუთარ ენობრივ და შინაარსობრივ პრიზმაში ატარებს სათარგმნ ტექსტს.

თარგმანის ამ ხერხების შესწავლა წარმოაჩენს, თუ როგორ ცდილობს ენა თავისი პოტენციის გააქტიურებას, როგორ თანდათან ჩნდება გამოხატვის ახალი საშუალებები, როგორ ყალიბდება გრამატიკული სისტემები, ან კიდევ, როგორ უარიყოფა ქართულისათვის მიუღებელი მოდელები.

**ანა ხარანაული, თამარ მაგრაქველიძე, თინათინ
ჯიქურაშვილი, ლიკა აბრალავა, ნათია მიროტაძე,
ლალი ვაშაყმაძე, ნინო გიორგაძე**

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ana.kharanauli@tsu.ge

**ბიბლიის ფაუნა (დოკუმენტირებული ლექსიკონი
ბიბლიის ძველი ქართული თარგმანების
მიხედვით)**

ლექსიკონზე მუშაობა 2017 წელს თბილისის სახელ-
მწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური გრანტის ფარგლებში
დაიწყო.

ლექსიკონი შედგება სამი ნაწილისაგან:

I. შესავალი: ლექსიკონის შედგენის პრინციპები; შე-
მოკლებულ და პირობითი ნიშანთა ნუსხა; ბიბლიოგრაფია;

II. ლექსიკონის ძირითადი ნაწილი: ანბანზე დალაგე-
ბული სიტყვა-სტატიები;

III. ინდექსები: 1) ბერძნული სიტყვების; 2) ებრაული
სიტყვების; 3) სომხური სიტყვების; 4) საერთაშორისო ლა-
თინური ნომენკლატურის; 5) ცხოველთა სახელები სემან-
ტიკური ველების მიხედვით; 6) ცხოველთა სახელები
ენობრივი სტატუსის მიხედვით (ნასესხები ლექსიკა; ხმა-
ბაძვითი ლექსიკა და ა.შ.).

თითოეული სიტყვა-სტატია მოიცავს:

1. ქართულ სალექსიკონო ერთეულს და მის ლათინურ
დასახელებას საერთაშორისო ნომენკლატურის მიხედ-
ვით;

2. ენობრივ კომენტარს;

3. სინონიმების მითითებას;

4. თითოეული ცხოველის მოკლე ზოოლოგიურ დახა-
სიათებას.

5. არსებობის შემთხვევაში მოხმობილი გვაქვს სულ-
